


ვერხვის თესლის, ის დაცვენისთანავე, იმავე წელს იწყებს აღმოცენებას და გამოზამთრებისათვის უკვე საკმაოდ განვითარებული აღმონაცენები (1 მეტრამდე სიმაღლის) ყალიბდება. შესაბამისად, უმჯობესია ვერხვის თესლით გამრავლება.

- ვეგეტაციურად გამრავლებულთან შედარებით, ბუნებრივ გარემოში შეგროვილ თესლიდან გამოყვანილი ნერგი უფრო მეტად ინარჩუნებს გენეტიკურ მრავალფეროვნებას და ადვილად ეგუება გარემოს. ვეგეტაციურ გამრავლებასაც თავისი უპირატესობანი გააჩნია და ამ მეთოდის სრული გამორიცხვაც არ არის



რეკომენდირებული. მდგნალთან შედარებით, ტირითის სხვა სახეობებმა დაკალმებისას უკეთესი შედეგები აჩვენა.

საძოვრებზე არსებული ეროზიების შემცირების ერთ-ერთ მეთოდად განიხილება ხეხილის კულტურული კიშის ნერგების გამოყვანა და გავრცელება, რასაც ომალოს სანერგე ემსახურება. აქ ტყის მცენარეულ სახეობებთან ერთად, მიმღინარეობს თუშეთის ბუნებრივი პირობებისათვის შესაფერისი თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის (ვაშლი და მსხალი) კიშის ნერგების გამოყვანა და გავრცელება მთელს თუშეთში.



საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის და თუშეთის დაცული ლანდშაფტის აღმინისტრაციის მიერ „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვის“ IBiS/GIZ პროექტის მხარდაჭერით.



**თუშეთში ეროზის საწინააღმდეგოდ
აღგიღობისი გენერირების
გამრავლების და გამოყენების
გამოცდილება**

ეროვნულ პროცესებს როგორც წესი, ბუნებრივი ფაქტორები იწვევს, თუმცა ხშირ შემთხვევაში მას ხელს უწყობს ადამიანის მიერ ბუნებრივი რესურსების უსისტემო და არაგონივრული გამოყენება.

თუშეთში საუკუნების განმავლობაში არსებობდა სოფლის განაშნიანების და მეურნეობის გაძლოლის ტრადიციული წესები, რომელიც ითვალისწინებდა და ხელს უშლიდა ეროვნული პროცესების წარმოშობას. ტრადიციულად, სოფლის მიმდებარე, განსაკუთრებით კი მის თავზე არსებული ტერიტორიები - სათიბებად, ხოლო მთის შედარებით ნაკლებად დამრეცი კალთები სახნავად გამოიყენებოდა. საქონელი, განსაკუთრებით კი ცხვარი ჭარბი ძოვებით გამოწვეული საფრთხეების თავიდან ასაკილებლად, სოფლიდან საკმაოდ მომორებით არსებულ საძოვ-



რებზე გაჰყავდათ.

სამწერაოდ, ტრადიციული ცხოვრების წესის ცვლილებასთან ერთად, ადამიანის და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობა დაირღვა. გასაბჭოების შემდევ თუშეთში მესაქონლეობამ, განსაკუთრებით კი მეცხვარეობამ, გარემოსთვის საზიანო მასშტაბებს მიაღწია, რამაც ეროვნის თუშეთის მაღალმთანი საძოვრებისთვის ტიპიურ მოვლენად აქცია. იმის გამო, რომ ზამთარში მო-

სახლეობა ძირითადად ბარში ჩადიოდა საცხოვრებლად, ისტორიულმა სათიბებმა დაკარგა თავისი პირვანდელი ფუნქცია და საძოვრებად იქცა. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ თუშეთის სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე



ეროვნიებით გამოწვეულმა მეწყრულმა პროცესებმა საფრთხე შეუქმნა და დღესაც უქმნის სოფლის მოსახლეობას.

ანალოგიური პრობლემები ზოგადად დამახასიათებელია მსოფლიოს მაღლმთანი რეგიონებისათვის, მათ შორის ევროპის ქვეყნებისთვისაც, შესაბამისად, არსებობს ამ პრობლემასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკაც. GIZ-ის პროექტის „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში - IBiS“ ფარგლებში თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე მოხდა ევროპის მაღალ-



მთიანეთში აპრობირებული საუკეთესო პრაქტიკების პილოტირება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, თუშეთის სოფელ ქვარბოსელში, ავსტრიელი და ქართველი ექსპერტების დახმარებით გატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- გრუეტის წყლების შემდგომი რეგულირების მიზნით სოფლის თავზე გაშენდა ფიჭვნარი კორომი. კერძოდ, დაირგვ 3000 ძირი ფიჭვის 2-3-ლიანი ნერგი (დარგვა მოხდა დახურული ფესვთა სისტემით - მიწის კომით.) 2018 წლის შემოდგომაზე ნარგაობა განახლდა - შეირგვ 1500 ძირი კონტრინერში გამოყანილი ფიჭვის ნერგი. აღსანიშნავია, რომ კონტრინერული ნერგი აღმოცენებული იყო თუშეთში მოპოვებული ფიჭვის თესლიდან.

- თუშეთის დაცული ლანდშაფტის აღმინისტრაციის ინიციატივით გაიმართა სანერგე, სადაც გაშენდა ადგილობრივი სახეობის ფოთლოვანი ხეები და ბუჩქები: მდგნალი (*Salix caprea*), ტირიფების აბორიგენული სახეობები (*Salix ssp.*), ცირცელი (*Sorbus caucasigena*), ასკილი (*Rosa ssp.*), უოლო (*Rubus idaeus*; *R.saxatilis*) და ლვია (*Juniperus communis*). სექტემბრის ბოლოს სანერგედან ამოღებულ იქნა უკეთ კარგად დაფინანსირებული მდგნალის 500, ცირცელის 580, უოლოს 50 და ასკილის 40 ერთეული ნერგი, რომლებიც დაირგვ ქვარბოსელის მეწყერის სათავე ნაწილში და მის ქვედა კალაპოტში.

- დაითესა ფიჭვი გამდელოებული ტერიტორიების ე.წ. „აჩეჩილ“ კვლებზე (იგულისხმება მდელოს არადრმა ხელებში, მნიშვნელი ფიჭვის თესვა). „აჩეჩა“ ხდება დაქანების პერიოდიკულარული



მიმართულებით ისე, რომ კორდი დაირღვეს, და მასში ითესება ბუნებრივი ფიჭვნარი შეგროვილი, გადარჩეული თესლი. ამ მეთოდის გამოსავლიანობა შედარებით დაბალია, თუმცა აღმოცენებული ნერგების დამკვიდრების მხრივ საბოლოო შედეგი - დადებითი. ფიჭვის თესლი შეგროვდა ოქტომბრის თვეში. გადაირჩა, დახარისხდა და გაზაფხულზე (აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში) ერთი დღით თბილ წყალში დალბობის შემდეგ, დაითესა.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდეციები:

- ტყეში აღებულ ფესვთან კალმებთან შედარებით (ბუნებრივ ბუჩქებები აჭრილმა ფესვიანმა კალამმა) უკეთ გა-



იხარა კარგად განვითარებული ფესვთა სისტემის მქონე ხელოვნურად დაკალმებულმა (სანერგები კონტრინერებსა და კვალში დაფესვიანებული ნერგები) ნერგებმა.

- კალმები აუცილებლად ხარისხიანი, ერთ-ორ წლიანი ძირზე ნაზარდი ყლორტებიდან უნდა აიჭრას. თუშეთში კალამი თოვლის დონისთანავე უნდა დამზადდეს, ხოლო დაკალმების შემდეგ სინესტე არ უნდა მოაკლდეს.

- საკმაოდ რთული და ხანგრძლვი პროცედურა აღმოჩნდა ვერხვის (*Populus tremula*) დაკალმება: აჭრილი კალმების მცირე პროცენტი ფესვთანდება და ამასთანავე, 2 წლის მაინც სჭირდება ფესვთა სისტემის საკმარისად განვითარებას სამედიო დამკვიდრებისათვის. რაც შეეხება

